2009 წელი, 3 – 9 დეკემბერი

ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№37 (471) გამოდის 1998 წლიდან

## „ახალი განათლების“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

2010 წლის ხელმოწერის მსურველებმა
ერთწლიანი ხელმოწერის თანხა – 36 ლარი ან
6-თვიანი ხელმოწერის თანხა –
21 ლარი 60 თეთრი უნდა გადმორიცხონ
ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:
ჩვენი რეკვიზიტებია: საქართველოს
ბანკის ცენტრალური ფილიალი
ს/კ 220 058 735; ბ/კ 220101 502; ა/ა 123 631 000

გამოცდების ეროვნული ცენტრი

გვერდი 5-11

**აბიტურიენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ცნობარის გამოცემამდე ვაქვეყნებთ ინფორმაციას დღეისათვის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფაკულტეტების მიერ არჩეული მეოთხე გამოცდის შესახებ (სასწავლებლების ნაწილი აკრედიტაციის მიღების პროცედურას მოგვიანებით დაასრულებს).**

**ფაკულტეტის მიერ ორი ან მეტი არჩევითი გამოცდის მითითების შემთხვევაში, აბიტურიენტი ირჩევს მითითებულიდან რომელიმე ერთ (ან რამდენიმე) გამოცდას. უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტების სრული ჩამონათვალი, ჩასაბარებელი გამოცდების, კოეფიციენტების, მისაღები კონტინგენტისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მითითებით, გამოქვეყნდება ცნობარში.**

# „სადაზღვევო კომპანია ალფა“ გთავაზობთ

პედაგოგთა ერთწლიანი დაზღვევა სრულდება. განათლების სისტემის მუშაკები ისევ არჩევანის წინაშე აღმოჩდნენ – რომელ სადაზღვევო კომპანიას მიმართონ. წარმოგიდგენთ ახალშექმნილ „სადაზღვევო კომპანია ალფას“, რომელიც არაერთ საინტერესო სიახლეს შემოგთავაზებთ. კონკრეტულად მათ შესახებ გიამბობთ კომპანიის გენერალური დირექტორი, ბატონი **ედუარდ ცხოვრებაძე.**

– სადაზღვევო კომპანია „ალფა“ 2009 წლის ივლისში დაფუძნდა. მისი დამფუძნებლები დასავლელი პარტნიორები არიან, კერძოდ ინგლისური სადაზღვევო კომპანია, რომელსაც დაზღვევის ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის ლიცენზია აქვს, სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის სფეროებში. ჩვენი ძირითადი მიმართულება ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტებია, რომლებსაც ვთავაზობთ როგორც კორპორატიულად, ასევე ინდივიდუალურად. გვაქვს უფლება, მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიების დაზღვევაში, ვმონაწილეობთ, ასევე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისა და საჯარო სკოლების თანამშრომლების (როგორც პედაგოგების, ასევე ტექნიკური პერსონალის) სამედიცინო დაზღვევის პროგრამებში.

ჩვენი კომპანია, ჯერჯერობით, უცნობია სადაზღვევო ბაზარზე. ამ ეტაპზე დაზღვეული გვყავს 3500-მდე ადამიანი, რომლებიც სამედიცინო დაზღვევის პოლისებით სარგებლობენ. ასევე, დაზღვეული გვყავს უმწეო მოსახლეობა. მათი დაზღვევა გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება და ჩვენ, ამ ეტაპზე, შიდა ქართლის მოსახლეობის დაზღვევა მოგვიწია.

**– რა სიახლეს სთავაზობთ პედაგოგებს?**

– ჩვენი ახლებური ხედვა იმაში მდგომარეობს, რომ ვაყალიბებთ მართული ჯანდაცვის პრინციპებზე დაფუძნებულ სადაზღვევო კომპანიას, რომელიც აქცენტს აკეთებს როგორც დაზღვევაზე, ასევე პრევენციაზე. ძირითადი პრიორიტეტი გაკეთდება პირველად ჯანდაცვაზე და, შესაბამისად, სხვა სადაზღვევო რისკების მართვაზე. ჩვენი სტრატეგია იქნება შესაძლო რისკების მართვა და არა უკვე დამდგარი რისკების თავიდან აცილება ან მინიმიზაცია. სადაზღვევო სფეროში ეს მიღებული ფორმებია – ან რისკი უნდა აიცილო თავიდან, ან უკვე მომხდარი რისკი უნდა მართო. ჩვენი აქცენტირება რისკების მინიმიზაციისა და მართვისკენ იქნება მიმართული. ამისათვის სადაზღვევო პაკეტის ინტეგრირებაა საჭირო. სადაზღვევო პროდუქტი რომ შესრულდეს, პირველ რიგში, საჭიროა სამედიცინო ინფრასტრუქტურა, იქნება ეს პირველადი ჯანდაცვის დონეზე, რომელიც გულისხმობს პოლიკლინიკებს, პირველადი ჯანდაცვის რგოლის ცენტრებს სოფლად, ასევე, რიგ ქალაქებში დიაგნოსტიკურ თუ სამკურნალო ცენტრებს და ჯანდაცვის სისტემის შემდეგ დონეზე – საავადმყოფოებსა და ჰოსპიტალებს. ამ ეტაპზე, ჩვენს პროვაიდერებს, მთელი საქართველოს მასშტაბით, წარმოადგენენ წმყვანი სამკურნალო ცენტრები და საავადმყოფოები. პირველადი ჯანდაცვის დონეზე, ჩვენი ძირითადი პროვაიდერი „ავერსის“ კლინიკათა ქსელია როგორც თბილისში, ასევე ლანჩხუთში, გორში, რუსთავში... ახლახან გორში მსოფლიო დონის მაღალი სტანდარტების კლინიკა გაიხსნა თავისი აღჭურვილობითა და კვალიფიციური სპეციალისტებით, ასეთივე კლინიკაა მარნეულში. იმ ქალაქებში, სადაც „ავერსის“ კლინიკები არ არის, საავადმყოფოები ნაკლებად პასუხობენ დღევანდელ სამედიცინო მოთხოვნებს. რამდენიმე საავადმყოფოსთან გვაქვს მოლაპარაკება და ჩვენ თვითონ შევუწყობთ ხელს კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევისთვის საჭირო მაღალტექნიკური სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვას და მათთვის გადაცემას, რათა ჩვენთან დაზღვეული პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ჯანმრთელობის შენარჩუნებისა თუ გაუმჯობესებისთვის აუცილებელი სამედიცინო სერვისის მიღება გეოგრაფიულადაც და ფინანსურადაც.

რიგ რაიონებში კერძო სტრუქტურებთანაც ვთანამშრომლობთ და პოლიკლინიკებთანაც. ვცდილობთ, ჩვენთან დაზღვეულმა პირებმა სამედიცინო ბაზარზე არსებული მოთხოვნები დაიკმაყოფილონ და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება მიიღონ სხვადასხვა დონეზე.

რაც შეეხება მედიკამენტებს, ამ შემთხვევაშიც „ავერსის“ ქსელთან გვაქვს პროვაიდერული ურთიერთობა, სხვა კომპანიებთან თანამშრომლობასაც ვგეგმავთ, მაგალითად, თბილისში ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული ყოფილ რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან, ღუდუშაურის ცენტრთან, თითქმის ყველა წამყვან კლინიკასთან, ქუთაისში – ცხაკაიას სახელობის ცენტრთან. ასე რომ, პედაგოგებსა და სხვა დაზღვეულ პირებს არ ექნებათ სამედიცინო სერვისების მიღების პრობლემა. ჩვენი მთავარი პრინციპი იქნება დამდგარი შემთხვევების მართვა, რომ პედაგოგს არ მოუხდეს გარკვეული წინაღობების გადალახვა. შევიმუშავეთ სამედიცინო სერვისების ათვისების საგანგებოდ პედაგოგებზე მორგებული სტრუქტურა. მაგალითად მოვიყვან იმას, რომ ჩვენთან დაზღვეული პედაგოგი სამედიცინო სერვისს პირველადი ჯანდაცვის დონეზე მიიღებს, თორემ გადაუდებელი შემთხვევებში – ნებისმიერ დროს. ხელშეკრულების გაფორმებისას ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ პედაგოგს გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მიღება

გვერდი 4

## „დიალოგი+“-ის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დიალოგი+“-ის ხელმოწერებს და
გავრცელებას ახორციელებს
გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია**

2009-2010 სასწავლო წელს „დიალოგი +“ -ის 7 ნომრის (დეკემბერ-ივნისი) გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე.

**გადმორიცხვის დროს, აუცილებელია,
გარკვევით მიეთითოს
ქალაქის, დაბის ან სოფლის დასახელება.**

აუცილებელია, ხელმოწერები განხორციელდეს პირველ დეკემბრამდე, რათა ყველა ხელმომწერმა მიიღოს „დიალოგი+“-ის 7 ნომერი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა **1 ლარი,** გამოწერის თანხა შეადგენს **7 ლარს.**

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: **რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს** და **ორგანიზაციებს.**

**გაზეთ „ახალი განათლების“
რედაქციის მისამართია:
თბილისი, ტეტელაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890
958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com,
ganatleba@mail.ru**

**გაზეთის ხელმოწერის თანხა
შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ
საბანკო ანგარიშზე:**

| | |
|---|---|
| მიმღები | შპს „ახალი განათლება“ |
| მიმღები ბანკი | სს „ბაზისბანკი“ |
| ბანკის კოდი | 220101956 |
| ანგარიშის ნომერი | 30236563 |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 202058735 |

**ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია
საქართველოს ნებისმიერი ბანკიდან.**

*პატივისცემით, ”დიალოგი + ”- ის რედაქცია*

აქტუალური თემა

# ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით

ზოგადი განათლების პოლიტიკის სფეროში ეროვნული უმცირესობებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ მოკლევადიან თუ გრძელვადიან პროგრამებს ახორციელებს. პროგრამების მთავარი მიზანი არაქართულენოვან სკოლებში მოსწავლეების სამოქალაქო ინტერგაციის ხელშეწყობაა, რაც სახელმწიფო ენისა და ეროვნულ უმცირესობათა ენების სრულყოფილ დონეზე სწავლებით უნდა იქნეს მიღწეული. ინტეგრაციის პოლიტიკის ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტად დღეს მულტილინგვური განათლება განიხილება. ევროკომისიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია: *„წარმატებულ მულტილინგვიზმის პოლიტიკას შეუძლია მოქალაქეთა ცხოვრების გაუმჯობესება: მას შეუძლია მოქალაქეთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდა, მომსახურებისა და უფლებებისადმი მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, კულტურათაშორისი დიალოგისა და სოციალური ერთობის საშუალებით სოლიდარობის დამკვიდრება“.*

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მულტილინგვური სწავლების პროგრამების პილოტირება 2009 წელს 40 არაქართულენოვან სკოლაში დაიწყო, აქედან 8 – თბილისის, 4 – კახეთის, 13 – ქვემო ქართლის, 13 – სამცხე-ჯავახეთის, 1 – შიდა ქართლის და 1 – იმერეთის სკოლებია. მულტილინგვური სწავლებისას კლასში ორი ან მეტი ენა გამოიყენება. განათლების მიღება მშობლიურ ენაზე ბავშვებსა და მოსწავლეებს ინტელექტუალური განვითარების შესაძლებლობებს აძლევს. ამავდროულად, ისინი ლინგვისტურ უნარებს იმ ენაზე ეუფლებიან, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. მულტილინგვური განათლების მიღების ძირითადი უპირატესობა ინტერკულტურული ჩვევებისა და ტოლერანტობის განვითარების ხელშეწყობაა, რაც მრავალეთნიკურ ქვეყნებში მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მულტილინგვური განათლების პროგრამის მიზანია: შეიქმნას ისეთი განათლების სისტემა, რომელიც ძირითადი ინსტრუმენტი იქნება საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის, ტოლერანტობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ უმცირესობათა განათლების ისეთი პროგრამების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ლინგვისტური იდენტურობის დაცვას და ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში; საშუალო სკოლებში ეროვნულ უმცირესობათა ენების და სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამ პოლიტიკის შედეგად კი, პირველ რიგში, უნდა გაუმჯობესდეს ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლების ხარისხი; გაიზარდოს სტუდენტთა რაოდენობა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში; ასევე გაუმჯობესდეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის სახელმწიფო ენის სწავლა, ეს ყველაფერი კი პოზიტიურ სასწავლო გარემოში უნდა მოხდეს.

სწორედ ამ საკითხებზე – მულტილინგვური განათლების პროგრამების შემუშავებაზე, მულტილინგვური განათლების პოლიტიკის მონიტორინგსა და შეფასებაზე – იმსჯელეს ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა, 26 ნოემბერს, „ქორთიარდ მერიოტში“ გამართულ კონფერენციაზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **ნიკა გვარამიამ**, მინისტრის პირველმა მოადგილემ **ირინე ქურდაძემ,** ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა **კნუტ ვოლებეკმა**, ეუთოს ექსპერტებმა, საპილოტე სკოლებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა **კნუტ ვოლებეკმა** ქართულ მხარეს დახმარება აღუთქვა სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ უმცირესობათა განათლების რეფორმის განხორციელებაში და საწყის ეტაპზე მულტილინგვური განათლების განხორციელების სირთულეებზე და ამ საგანმანათლებლო პროგრამაში საზოგადოების ჩართულობის გზებზე ისაუბრა:

*„ჩემი გამოცდილებით, ეუთოს უმაღლესი კომისრის რანგში, მულტილინგვური განათლება ან საგნების სხვადასხვა ენაზე შესწავლა არის საშუალება, რომელიც ხელსაყრელია როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენელთათვის. პროფესორი ჯიმ ქამინსი, გამოჩენილი მკვლევარი მულტილინგვური სკოლების კონტექსტში წიგნიერების განვითარების სფეროში, წერს, რომ ბილინგვური ან მულტილინგვური განათლება ბავშვებს ენის უფრო ღრმა შესწავლის და მისი ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს. მათ ენის გამოყენების მეტი პრაქტიკა აქვთ, განსაკუთრებით, როცა ორივე ენაზე სწავლობენ დამწერლობას. მათ საშუალება ეძლევათ, შეადარონ და კარგად დაინახონ კონტრასტი იმაში, თუ როგორ განსაზღვრავს ეს ორი ენა რეალობას. ბოლო 35 წლის განმავლობაში ჩატარებულმა, 150-ზე მეტმა კვლევამ დაადასტურა ის, რაც გერმანელმა ფილოსოფოსმა, გოეთემ თქვა: თუ ადამიანმა მხოლოდ ერთი ენა იცის, მან ეს ენა ძირეულად არ იცის. კვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ მულტილინგვურ ბავშვებს ფიქრის სისხარტე ახასიათებთ, რაც იფნორმაციის ორ ან მეტ ენაზე ერთად დამუშავების შესაძლებლობის შედეგია.*

*ბილინგვური და მულტილინგვური განათლება პიროვნებებს საშუალებას აძლევს, გასცდნენ მხოლოდ საკუთარი ეთნიკური ჯგუფების თვითმყოფად თვისებებს. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს ეხმარება აღიარონ, რომ ყველა ჩვენგანს განსხვავებული და, ამავდროულად, საერთო თვისებები გვაქვს. ორ ან რამდენიმე ენაზე თავისუფლად მეტყველი მოსახლეობა, შეძლებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას.*

*ბილინგვური და მულტილინგვური განათლება ფუნდამენტური უფლებებისა და ინტეგრაციის ხელშემწყობ კონცეფციად გვევლინება. ამ გზით ჩვენ ორი კურდღლის დაჭერა შეგვიძლია: შევინარჩუნოთ უმცირესობათა ეთნიკური თვითმყოფადობა და მივაღწიოთ სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ცოდნას, რაც, თავის მხრივ, ეროვნულ უმცირესობებს ფართო ჰორიზონტს უხსნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობისა და დასაქმებისათვის, არა მხოლოდ თავიანთ სოფლებში.*

*უფლება მომეცით განვმარტო: ბილინგვური და მულტილინგვური განათლება, როგორც კონცეფცია, არ უდრის ინტეგრირებულ განათლებას. ინტეგრირებული განათლება ასევე ნიშნავს, რომ ყველა სკოლას ერთი და იგივე სტანდარტი მიესადაგება, ანუ უმცირესობათა სკოლები ხარისხის კონტროლის იმავე მექანიზმებს ექვემდებარება, ისეთივე სიხშირით ფასდება და ამ სკოლადამთავრებულები იმავე მისაღებ გამოცდას აბარებენ უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად.*

*მოხარული ვარ, რომ მულტილინგვურობა ფეხს იკიდებს ქართულ საზოგადოებაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უდავოდ ქებას იმსახურებს მცდელობისთვის, ხელი შეუწყოს მულტილინგვურობას, არა მხოლოდ ამ კონცეფციის საშუალებით, არამედ ასეთივე ამბიციური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითაც.*

*ჩემი აზრით, პროგრამის 40 საპილოტე სკოლით დაწყება ძალიან ბრძნული გადაწყვეტილებაა. ამ სკოლების წარმატება მშობლებისთვის ნათელს გახდის მულტილინგვური განათლების უპირატესობას. ინფორმაცია ამ ინოვაციური სწავლების მეთოდის შესახებ გავრცელდება ხალხში, რასაც იდეის აღიარება და მისი მიღება მოჰყვება. თუმცა, მოსალოდნელია წინააღმდეგობებიც. თქვენი გზა წარმატებისაკენ, შესაძლოა საკმაოდ რთული აღმოჩნდეს. საჭიროა, მასწავლებლებმა გაიარონ გადამზადება და აკრედიტაცია. უნდა მოხდეს შემუშავებული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. საპილოტე პროგრამის შედეგები სათანადოდ უნდა აიწონოს და შეფასდეს. უნდა გამოინახოს შესაბამისი რესურსები, რომ დაწყებული პროგრამა გაგრძელდეს. წინ დიდი სამუშაო გველის. ასევე საჭიროა, მომზადდეს ახალი თაობის მასწავლებელთა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და სასწავლო წიგნები ქართულის, როგორც მეორე ენის, სასწავლებლად. როგორც, ჯერ კიდევ, დაახლოებით, 150 წლის წინ, ცნობილმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა აღნიშნა: „კავკასიელი ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლებისას რუსი ბავშვებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოების გამოყენება ყველა პედაგოგიური მოთხოვნის უგულვებელყოფაა. ასეთი სწავლება სანავალებელი და დამაჩლუნგებელი გამოცდილებაა. რუსული ბავშვებს ქვად მიეწოდებათ და არა ადვილად გადასამუშავებელ საკვებად“. მნიშვნელოვანია, წარსულის შეცდომები არ გავიმეოროთ. სომხები, აზერბაიჯანელები და რუსები ვერ ისწავლიან ქართულს იმავე წიგნებით, რომლებითაც ქართველი ბავშვები სწავლობენ“.*

მინისტრის პირველმა მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** იმ პროგრამებზე და ინიციატივებზე ისაუბრა, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით:

*„მოგეხსენებათ, რომ განათლების სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ბოლო წლების განმავლობაში, ამ მიმართულებით ბევრი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა, დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან დამთავრებული ზრდასრულთა განათლებით. წელს სკოლამდელ განათლებაში 6 ცენტრი გავხსენით, გარდა ამისა, განათლების სამინისტროს ინიციატივით ითარგმნება სახელმძღვანელოები ეროვნული უმცირესობების ენებზე, ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს ისტორიას, საქართველოს გეოგრაფიას, სამოქალაქო განათლებას. ასევე, ეხება პროგრამების თარგმნას, სახელმძღვანელოების შესყიდვას და ა.შ. გავხსენით ზრდასრულთა ცენტრები, სამცხე-ჯავახეთში – ორი; ქვემო ქართლში – ორი. ამ ცენტრებში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს შეისწავლოს სახელმწიფო ენა ან გაიუმჯობესოს მისი ცოდნა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც საკანონმდებლო დონეზე განხორციელდა, ეხება უმაღლეს განათლებას. ეთნიკურ უმცირესობებს – სომეხ და აზერბაიჯანელ აბიტურიენტებს ექნებათ საშუალება მათივე ენაზე ჩააბარონ ერთი გამოცდა – უნარ-ჩვევები და ჩაირიცხონ უმაღლეს სასწავლებლებში. შემდეგ ერთი წლის განმავლობაში 60 კრედიტის დაგროვებით შეისწავლონ ქართული ენა და მომდევნო კურსზე განაგრძონ სწავლა შესაბამის სპეციალობებზე.*

*მულტილინგვური სწავლების დანერგვა საქართველოში მნიშვნელოვანი პროცესია – სკოლაში შესაძლებელია ერთდროულად ორ ან მეტ ენაზე სწავლება. ეს აუცილებლად დაეხმარება ეთნიკურ უმცირესობებს სახელმწიფო ენის შესწავლაში. უცხოელ ექსპერტებთან ერთად შევიმუშავეთ და დავამტკიცეთ მულტილინგვური სწავლების სტრატეგია. მოხარული ვარ, რომ სკოლების მხრიდან პროექტის დაწყების მზაობა იგრძნობა. ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ სახელმწიფო ენის შესწავლის გარეშე სამოქალაქო ინტეგრაციის განხორციელება შეუძლებელია. ვიმედოვნებ, რომ პროექტი იქნება წარმატებული და მომავალში უფრო მასშტაბური გახდება.“*

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები თემებზე:

„მონოლინგვიზმიდან ტრილინგვიზმამდე განათლებაში“ – **კარენ მარგრეთ პედერსენი** (სამხრეთ დანიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);

„საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა განათლების რეფორმა: ადგილობრივი ინიციატივებიდან სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი უმცირესობათა განათლების რეფორმისაკენ“ – **ლიგიტა გრიგულე** (ეუთოს მულტილინგვური განათლების ექსპერტი);

„საქართველოში მულტილინგვური განათლების პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება“ – **მარინა გურბო** (ეუთოს მულტილინგვური განათლების ექსპერტი) და სხვ.

2004 წლიდან მოყოლებული, რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობდა საქართველოში ენობრივი პოლიტიკისა და მულტილინგვური განათლების საკითხებზე; 2006-2008 სასწავლო წლებში შემუშავდა და განხორციელდა მულტილინგვური განათლების პილოტური პროექტი. **ლიგიტა გრიგულემ** მოხსენებაში აღნიშნა, რომ: *„ადგილობრივი რესურსებისა და სოციოკულტურული გარემოს ფარგლებში სხვადასხვა ბილინგვურმა მოდელებმა წარმატებით იმუშავა, რაც, თავის მხრივ, მულტილინგვური განათლების, როგორც ენის დაუფლებისა და ქვეყნის მასშტაბით სამოქალაქო ინტეგრაციის, ეფექტური მეთოდის დანერგვის რეკომენდაციის საშუალებას იძლევა.“*

**დავით ჩოჩიშვილი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის საჯარო სკოლის დირექტორი: *„სკოლაში, რომლის დირექტორიც მე გახლავართ, დიდი ხანია დაწყებულია ბილინგვური სწავლება. სასწავლო გეგმით ქართული ენის სწავლებისათვის გათვალისწინებული 3 საათი მიზერულია, შესაბამისად, მოსწავლეებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონე დაბალია. თანაც რეგიონია ისეთი, რომ ადგილობრივებს ქართულ მოსახლეობასთან კონტაქტი არ უწევთ, რადგანაც მთლიანად არაქართულენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული. საერთაშორისო ორგანიზაციამ – „სიმერა“, ჩვენს სკოლაში, რამდენიმე წლის წინ, პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც აზერბაიჯანულენოვან სკოლებში გარკვეული საგნების ქართულ ენა-*

*ზე სწავლებას ითვალისწინებდა. მაგალითად, ხელოვნებასა და ბუნებას პედაგოგები ორივე ენაზე ასწავლიდნენ. პროექტის ფარგლებში ფინანსდებოდა მეორე, დამატებითი პედაგოგის შრომის საფასური. ორი წლის შემდეგ, პროექტი შეწყდა. მე ახალი დირექტორ ვარ, მაგრამ მისვლისთანავე მივხვდი, რომ ამ პროექტის გაგრძელება აუცილებელია, ამიტომაც ჩავერთე მულტილინგვური სწავლების პროექტში – ძირითადად, დაწყებით კლასებში ხორციელდება. თუმცა, მე თავად დავნერგე მეექვსე კლასში ისტორიის გაკვეთილი – აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე. ბუნებრივია, წინსვლა არის. როცა ვადარებთ ბილინგვური და ჩვეულებრივი კლასების დონეს, სხვაობას ვხედავთ – დაწყებითი კლასის მოსწავლეები გაცილებით კარგად ფლობენ ქართულ ენას, ვიდრე უფროსკლასელები. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ ერთბაშად შედეგი არ იქნება, ეს დროზეა გათვლილი.*

*ამჟამად სკოლა ბილინგვური სწავლებისთვის აღარ ფინანსდება, ჩვენივე სახსრებით ვაფინანსებთ ბილინგვურ პედაგოგებს. თუმცა, როგორც ვიცით, იანვრიდან, შესაძლოა, 40 საპილოტე სკოლა დაფინანსდეს ბილინგვური სწავლებისათვის. აქვე გეტყვით იმასაც, რომ საქართველოში 500 არაქართულენოვანი სკოლაა, საპილოტე სკოლები სპეციალური კითხვარის საფუძველზე შეირჩა, მათ შორის აღმოვჩნდით ჩვენც. "*

**ემა ნახატაკიანი**, ახალქალაქის №5 საჯარო სკოლის დირექტორი: *„უკვე მესამე წელია, რაც ბილინგვური სწავლების მეთოდს ვიყენებთ. წელს, ფინანსების არქონის გამო, სწავლება ვერ გავაგრძელეთ. მინდა გითხრათ, რომ ბილინგვურმა სწავლებამ ძალიან კარგი შედეგები მოგვცა. ბავშვები ერთმანეთს შეცდომებსაც უსწორებენ, როცა არასწორად გამოთქვამენ ქართულად რაიმეს. მეტიც, სახლში უფროსებთან, მშობლებთან თავსაც კი იწონებენ ხოლმე იმით, რომ მათ ქართული სიტყვები იციან, უფროსებმა კი არა. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, რომლებმაც ბილინგვური სწავლება გაიარეს, უკეთ ესმით ქართული, ვიდრე უფროსკლასელებს. რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებში განხორციელებულ ცვლილებას, ეს არის კიდევ ერთი შანსი ჩვენი ბავშვებისთვის, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, გამოცდა მშობლიურ ენაზე ჩააბარონ, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად ისწავლონ ქართული ენა და შემდგომ სწავლა განაგრძონ ქართულ ენაზე. ეს მართლაც შანსია მათთვის, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებენ."*

**ნიკა გვარამია:** *„არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესში უპირველესი ამოცანა ქართული ენის სწავლება და ცოდნაა. საბედნიეროდ, მათი მხრიდან სახელმწიფო ენის ცოდნის სურვილი იგრძნობა. ეს მათი სამშობლოცაა და უნდა ჰქონდეთ ყველა სიკეთის ხელმისაწვდომობა, რაც აქვს ქართულენოვან მოსახლეობას. ჩვენ არ ვართ მონოეთნიკური სახელმწიფო, ამდენად, ჩვენი აქცენტები სწორია და ამ მიმართულებით ბევრსაც ვაკეთებთ. რეფორმის შემდგომი კლასები, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის კლასები, ქართული ენის ცოდნის კუთხით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე სხვა დანარჩენი. დღეის მოცემულობით პრობლემაა ის, რომ მაღალ საფეხურზე ძალიან დაბალი ხარისხის ცოდნა გვაქვს ქართული ენისა. ამიტომ გახდა საჭირო ახალი პროექტი უმაღლესი განათლების თაობაზე.*

*რაც შეეხება მულტილინგვურ განათლებას, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მეთოდი. პრინციპში, ეს ამ პოლიტიკის მწვერვალია, რომელიც ქართული ენის სწავლებასთან ერთად, მოიცავს ქართული ენის შეტანას სხვა საგნებში – მათემატიკაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში და ა.შ. რასაკვირველია, არასრული მოცულობით. ეს კიდევ უფრო მეტად ამაღლებს ენობრივ კომპეტენციებს. ვიმედოვნებთ, რომ ამ მეთოდის დახმარებით დავძლევთ მნიშვნელოვან პრობლემას – ქართული ენის ცოდნა არაქართულენოვან მოსახლეობაში. ერთიან ეროვნულ გამოცდებში შეტანილი ცვლილება, ვფიქრობთ, იქნება ეფექტური. ბუნებრივია, ამით არ ვამბობთ უარს არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულების მიერ ქართული ენის ჩაბარებაზე. შფოთვა, რაც ამ ცვლილებამ საზოგადოების ნაწილში გამოიწვია – ხომ არ მოკლავს საბოლოოდ იმის სურვილს, რომ სკოლებში ისწავლონ ქართული ენა – უსაფუძვლოა. ჩვენ გამოცდას ვხსნით ქართულ ენაში, თორემ ქართული ენის სწავლებაზე კი არ ვამბობთ უარს, პირიქით, მათ საშუალებას ვაძლევთ, პირველ კურსზე ინტენსიურად ისწავლონ სახელმწიფო ენა. აუცილებლად ვიზრუნებთ, ასევე, მასწავლებელთა გადამზადებაზე, რაც დღეს სერიოზული პრობლემაა. მათი მხრიდან ამის დიდი სურვილია, პროვაიდერი ორგანიზაციები, რომლებიც ამას განახორციელებენ, მაქსიმალურად იქნებიან წახალისებულნი. ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს. ერთ-ერთი აზერბაიჯანული დელეგაციის მხრიდან, გარკვეული მხარდაჭერა უკვე მივიღეთ. ვიმედოვნებთ, სომხეთის განათლების სამინისტროც გამოთქვამს ანალოგიურ სურვილს, დაგვეხმაროს პედაგოგების გადამზადებაში. ჩვენ ერთობლივად უზრუნველვყოფთ არაქართულენოვანი პედაგოგების გადამზადებას.*

*მულტილინგვური განათლება ყოველწლიურად იკრებს ძალას, წელს დავიწყეთ 40 სკოლით, მომავალში კი ეს რიცხვი უფრო გაიზრდება."*

* * *

მულტილინგვური სწავლების დანერგვა საქართველოში ეუთოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ხორციელდება. ეს მართლაც მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოლიტიკა კი მრავალეთნიკურ ქვეყანაში მშვიდობიანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთგვარ გარანტადაც შეიძლება იქცეს.

**ლალი ჯელაძე**

# გონების ძილი

**რუბრიკას უძღვება**
**თამაზ ვასაძე**

ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძის პატრიოტული იდეალი იყო საქართველო როგორც თავისუფალი, ცივილიზებული, ევროპეიზებული ქვეყანა, ხოლო კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, მის პროზაში გამოკვეთილია ორგვარი ცხოვრების ყაიდა და ცნობიერების წყობა, რომელთაგან ერთი მთლიანად ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ქვეყნის ევროპეიზაციის გეზით განვითარებას („კაცია-ადამიანი?!"), მეორე კი ამ გეზით სვლის მამოძრავებელია („ოთარაანთ ქვრივი").

სინამდვილისადმი ევროპულ დამოკიდებულებას არსებითად აყალიბებს ის, რომ დასავლელი ადამიანი თავისთავის და ცხოვრების აღმშენებელი და გარდამქმნელია. მისი ყოფიერება რეალობის მიზანმიმართული შეცვლის, გაუმჯობესების სისტემატური ცდაა, რადგან იგი თვლის, რომ ეს რეალობა მუდმივ სრულყოფას საჭიროებს. დასავლელი ადამიანი ენერგიულად ესწრაფვის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მოწესრიგებას, მართვას, რათა იგი თავისთვის უფრო კეთილმყოფელი და შესაფერისი გახადოს. ყოველ შემთხვევაში, რენესანსის ეპოქიდან მოკიდებული დასავლელი ადამიანი სწორედ ასეთი ჩანს, თუმცა ამის ფესვები უფრო ღრმაა...

ძნელი წარმოსადგენია სინამდვილისადმი ამგვარი დამოკიდებულების უფრო სრული უარყოფა, ვიდრე ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!" პერსონაჟების არსებობაა: მოუწყობელი და მოუწესრიგებელი ყოფა და საცხოვრებელი გარემო, რომელსაც მის მიმართ ადამიანის უკიდურესი დაუდევრობის დაღი ადევს; უცვლელობა, ერთის და იმავეს გაუთავებელი გამეორება, როცა დროც თითქოს უძრავია; უქმი და მოდუნებული, უენერგიო სიცოცხლე, რომლის სიფუტუროვეს ავსებს ხორციელი ტკბობა, განცხრომა, შეიძლება ითქვას, „აღმოსავლური ჰედონიზმი", ოღონდ ისეთივე უხეში და პრიმიტიული, როგორიც არის ყველაფერი, რასაც მწერალი თათქარიძეებისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს.

ცხოვრებისადმი დასავლური, აქტიური დამოკიდებულება სათავეს იღებს გონების პრიმატიდან, რომელმაც საბოლოოდ თავისი ცხადი გაცნობიერება და აღიარება რაციონალიზმში და განმანათლებლობაში ჰპოვა. გონებაა აქტიური, მოძრავი, სინამდვილის წვდომის, გაგების და ამდენად დაუფლების დაჟინებით მცდელი. გონების რაობაა მარადიული მაძიებლობა, უკვე მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, სისრულისკენ შეუსვენებელი ლტოლვა. „ფაუსტური ადამიანის" გონების მოუსვენრობაა უკუფენილი ევროპის სოციალური და კულტურული ცხოვრების აქტიურ-დინამიურ ხასიათში, ინტენსიურ შემოქმედებაში, შრომაში, რომელმაც სინამდვილეს გონების მოთხოვნების შესატყვისი თვისებრიობა და სახე უნდა მიანიჭოს.

ილია ჭავჭავაძე როგორც რაციონალისტი და განმანათლებელი თავისი სატირის ძირეულ თემად უგუნურებას ირჩევს და თავისი გმირების სამარცხვინო დაცემულობის პირველმიზეზს უგუნურებაში ხედავს. „კაცია-ადამიანის?!" პერსონაჟებისთვის უპირველესად სწორედ გონების სიზანტეა ნიშანდობლივი და მათი ფიზიკური ინერტულობა, მძიმე და უმოძრაო მატერიალურობა მათივე გონებრივი უძრაობის მხატვრული განსხეულებაც არის. თათქარიძეების მთელი არსებობა სრულიად არარაციონალურია და, ავტორის თვალთახედვით, პირველ რიგში ამით არის დამაღონებლად კომიკური. მოთხრობის გმირები თითქოს ბურანში, მთვლემარეობაში არიან ჩაფლული. მათ მოშლილი აქვთ კავშირი რეალურ, ცოცხალ სინამდვილესთან, არ გააჩნიათ მისი საღად აღქმის და გააზრების უნარი. ისინი ჩაკეტილი არიან ყალბი ტრადიციული შეხედულებების, ცრურწმენების, ილუზიების – გონებით და სინამდვილის ლოგიკით დაუდასტურებელი წარმოდგენების მოჩვენებით სამყაროში, რომელსაც ნამდვილი სამყაროსგან ყრუ, სქელი კედელი მიჯნავს.

მოთხრობის გმირების ცნობიერება „მითიურ-პოეტურია", „მაგიურია". ამ ცნობიერებას შეიძლება ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად მიაჩნდეს ზღაპრული ისტორია ხე ცნობადისას ზურმუხტის ნაყოფის შესახებ, რომელიც დიდ სახელმწიფოთა შორის ცილობის საგანია და ქვეყნად არევ-დარევას იწვევს. ყმების მომავალ გათავისუფლებას ეს ცნობიერება იმით ხსნის, რომ მზეს გველეშაპი შემოეხვია, რადგან ადამიანების ცოდვებმა იმატა – ზოგიერთი მებატონე უღირსად იქცევა, ტრადიციას ღალატობს და ვაჭარივით მოგებას ეძებს. საკუთარ უშვილობასაც, როგორც გვახსოვს, თათქარიძეები ზებუნებრივი ძალების წყრომას თუ ბოროტი სულების ხრიკებს მიაწერენ და ამ უბედურებისგან თავდასახსნელად „მაგიურ" საშუალებებს იყენებენ. სინამდვილის მოვლენებს შორის რეალური მიმართებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა და გაგება მათ არ შეუძლიათ და სრულიად არაიდუმალი ამბები „ჯადოსნურ-მისტიკურად" აიხსნება. ამგვარი არარაციონალური აზროვნების ნიმუშია, ვთქვათ, ლუარსაბის მიერ ბატონყმობის გამართლებაც ღვთის ნებაზე მითითებით და იმ უტყუარი საბუთით, რომ ადამიანის ხელის თითებიც კი ღმერთმა არათანაბარი ზომის შექმნა.

მოთხრობაში კომიზმს ხშირად ბადებს აზროვნების ალოგიკურობა, გმირების მიერ გამომჟღავნებული ლოგიკური დასაბუთების უუნარობა, მათი „აზრების" და ამ „აზრების" დასამტკიცებლად მოშველიებული „ფაქტების", „არგუმენტების" შეუსატყვისობა. ამის კლასიკური მაგალითია ცნობილი „ბუზების ეპიზოდი", სადაც სინამდვილის ელემენტარული ლოგიკის ვერგაგებაა გამასხრებული. ასევე ცნობილ პასაჟში, რომელიც კულინარიის საკითხებზე კამათს ეძღვნება, გამჭვირვალეა არამხოლოდ თათქარიძეთა ინტერესების სიმდაბლე და სიწვრილმანე, არამედ აგრეთვე ცნობიერების გარკვეული, არარაციონალური წყობა, კამათის საგნის არჩევაშივე რომ ვლინდება – არ შეიძლება იმის ლოგიკური არგუმენტირება, თუ რომელი კერძია „კერძების მეფე", ან რომელი თევზი – „თევზების მეფე", ეს „პოეტურ-პირობითი" წარმოდგენების სფეროა. ამიტომ „არგუმენტად" გვევლინება გმირების ჭირვეული სუბიექტივიზმი, რომელსაც ჯიუტად არ სურს უკან დახევა.

ეს გამამხიარულებელი ვითარება არც ისე მხიარული დასკვნების გამოტანისკენ გვიბიძგებს. რაციონალური აზროვნება გულისხმობს სინამდვილის კანონების და ობიექტური წყობის ადეკვატურ აღქმას, მოითხოვს ადამიანის არსებობის რეალობასთან შეთანადებას, იგი სუბიექტს გარკვეულ საზღვრებს უწესებს. ხოლო რაციონალური აზროვნების განუვითარებლობა რეალისტური აღქმის სისუსტეს მოასწავებს და ინფანტილურად ჟინიან სუბიექტივიზმს თავისუფლება ეძლევა. გონების უმოქმედობა და სიღატაკე, გონების კონტროლის არარსებობა აადვილებს ქვენა გრძნობების და ვნებების, მოქიშპეობის, ჯიბრის, შურის გალაღებას, როგორც ეს თათქარიძეების ცხოვრებაშია.

„კაცია-ადამიანის?!" გმირთა ცნობიერებაში გაბატონებულ ცრურწმენებს შორის განათლების და ცოდნის – სისტემატური გონებრივი აქტივობის შინარევი ათვალწუნებაც არის. ასევე ჩლუნგი ათვალწუნებით უყურებენ ისინი შრომას. მოთხრობის პერსონაჟებს ჩვევიათ წარსულის განუსჯელი იდეალიზაცია, რომელიც მჟღავნდება, მაგალითად, ასეთ აბსურდში – ადრინდელი დრო იმით ჯობს აწმყოს, რომ მაშინ საძრახის საქმეებს უკეთესად აჩუმათებდნენ. ყველაფერი, რაც ცივილიზაციასთან არის დაკავშირებული, მათ „მაგიურ" და კონსერვატულ ცნობიერებას სახიფათო ჯადოქრობად, ეშმაკის მანქანებად წარმოესახება (ასე აღიქვამენ ქალაქის ცხოვრებას). ცნობისწადილი, რაიმე ახლის გააზრების მოთხოვნილება ამ დახშულ ცნობიერებაში არ იძვრის.

თათქარიძეების არსებობის ერთ-ერთი ბურჯია ცრურწმენა, რომ უხეში ძალადობა აუცილებელია წესრიგისთვის – ამაზე მეტყველებს კოლორიტული ეპიზოდი, სადაც უგუნური ეგზეკუცია – ყმების დაწიოკებაა აღწერილი, აგრეთვე ლუარსაბის და დარეჯანის გაუხუნარი შეგონებანი იმის თაობაზე, რომ ყმები მუდამ შიშში უნდა ამყოფო, თორემ თავს გაუვათ... ერთი მოაზროვნის მტკიცებით, ძალადობის აბსოლუტური ეფექტიანობის ურყევი აღიარება, ადამიანზე გონივრული, დამარწმუნებელი სიტყვით ზემოქმედების ნაცვლად ძალადობისთვის უპირატესობის მინიჭებაც იყო აღმოსავლური სამყაროს ჩამორჩენის, გახევების მიზეზი. და თათქარიძეებიც ხომ არსებითად აღმოსავლელები, აზიელები არიან...

ილუზორულია მოთხრობის გმირების წარმოდგენა საკუთარ თავზეც: როგორც ვერ ხედავენ რეალობას, ასევე ვერ ხედავენ თავისთავს რეალობაში. მათი დაბინდული, ბურუსში ჩაძირული გონება უძლურია რეალისტურად აღიქვას და განსაჯოს მათივე რაობა, შესაძლებლობები და ამის შედეგად თავს იჩენს კომიკურად გადაჭარბებული თვითშეფასებანი, თავმომწონეობა, რაც უზომო კვეხნაში და ქადილში გამოიხატება. ისინი ამჟღავნებენ განსაკუთრებულ „ნიჭს" შეიქმნან, განიმტკიცონ და შეინარჩუნონ ილუზიები, ყველაფერი წარმოიდგინონ ისე, როგორც მათთვისაა ხელსაყრელი – მოვიგონოთ თუნდაც უშვილობით აღძრული პერიპეტია და მისი დამაგვირგვინებელი ილუზორული გამარჯვება, რომლის აღსანიშნავადაც ხალისიანი დღესასწაული ეწყობა. მათზე დამატყვევებლად მოქმედებს ქება და პირფერობა, რადგან ეს ტკბილი ილუზიების შენარჩუნებაში ეხმარებათ და ადვილად მოსატყუებლები არიან, იმიტომ, რომ ადამიანი ყველაზე მეტად იმ ტყუილს იჯერებს, რომელიც მის თავისმოტყუების სურვილს თანხვდება.

გონიერებით არც მოთხრობის დანარჩენი პერსონაჟები გამოირჩევიან, თუმცა ზოგიერთ მათგანს აქვს პატარა ეშმაკური ჭკუა, რომელიც მხოლოდ სხვების გაბრიყვების და რაღაცის გამორჩენის უნარში ვლინდება.

თათქარიძეების ცნობიერების წყობას ილია ჭავჭავაძე გვიანდელი, უკვე გამოფიტული ფეოდალიზმის სოციალურ სტრუქტურასთან აკავშირებს, მის მახინჯ ნაყოფად წარმოგვიდგენს. მაგრამ თათქარიძეთა სახეები სოციალურ შინაარსთან ერთად გარკვეული ეპოქის ქართული მენტალობის მომცველია, რასაც მოთხრობის ავტორი თვითონ გვანიშნებს.

# „სადაზღვევო კომპანია ალფა“ გთავაზობთ

*პირველი გვერდიდან*

(ექიმთან ვიზიტი იქნება თუ კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები) შეძლებოდა შაბათ-კვირასაც, სამუშაო დღეებში კი – საღამოს 9 საათამდე. თბილისში, „ავერსის“ კლინიკაში, პედაგოგებს მომსახურების სრული სპექტრის მიღება შეეძლებათ დილის 9-დან საღამოს 9 საათამდე, შაბათ-კვირას – 10-დან 7 საათამდე.

**– რას ითვალისწინებს კონკრეტულად „ალფას“ სადაზღვევო პაკეტი?**

– სანამ სადაზღვევო პაკეტს შევადგენდით, ჩავატარეთ პედაგოგების გამოკითხვა, რომელმაც გვიჩვენა, რომ ერთ-ერთი რეალური პრობლემა დაკავშირებული იყო დაზღვევის მენეჯმენტთან – გარკვეული ბიუროკრატიული მექანიზმების გადალახვასთან. შევეცადეთ, გაგვემარტივებინა და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაგვეხადა დაზღვევით გათვალისწინებული მომსახურება.

პედაგოგებს, რომლებიც ჩვენთან დაეზღვევიან, ვთავაზობთ სრულ სპექტრს – არა მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევების მართვას, არამედ თერაპიული სტომატოლოგიის დაფინანსებასაც, რომელშიც შედის კბილის მკურნალობა, ღრძილის ანთების მკურნალობა, დაბჟენა და ა.შ. ასე რომ, მათ მთლიანად გადავუჭრით სტომატოლოგიურ პრობლემებს. პედაგოგებში ხშირია მხედველობასთან დაკავშირებული დაავადებები, აქედან გამომდინარე, ჩვენი პოლისი ითვალისწინებს ოფთალმოლოგის უფასო კონსულტაციას, მხედველობის სიმახვილის განსაზღვრასა და სათვალის

*ედუარდ ცხოვრებაძე*

შერჩევას. გარდა ამისა, რეალურად ვცდილობთ, რომ პედაგოგთა დაზღვევა ვაქციოთ სკოლებისთვის და მთლიანად პერსონალისთვის სამედიცინო პრობლემების გადაჭრის ძირითად გზად. ამის დასტურია ის, რომ სკოლებს, რომელთა თანამშრომლების დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 80 პროცენტამდე) ჩვენთან იქნება დაზღვეული, პოლისით ვთავაზობთ პირველად სამედიცინო დახმარებას არა მარტო მედიკამენტებით, ასევე წნევის აპარატით, თერმომეტრით და სხვ. აქამდე სკოლებს ამის შეძენა თავიანთი ბიუჯეტიდან უწევდათ, ჩვენთან თანამშრომლობის შემთხვევაში, ვპირდებით, მსგავს პრობლემებს, ჩვენ გადავუჭრით. პაკეტში 22-მდე დასახელების მედიკამენტი გვაქვს, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში არსებული გადაუდებელი დახმარების (იქნება ეს მასწავლებელთა თუ მოსწავლეთა ტრავმები) მართვას და გარკვეულ დონეზე ჭრილობების დამუშავებას.

გარდა ამისა, ჩვენს პაკეტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა – შესაძლებლობის ფარგლებში, გავითვალისწინეთ პედაგოგთა სურვილი და მათი ოჯახის წევრებს (მეუღლე და შვილები, ასაკის შეუზღუდავად) ჩვენს პროვაიდერ კლინიკებში ექნებათ ექიმის უფასო მომსახურება და პაკეტში მითითებულ გარკვეულ სერვისებზე ფასდაკლება. აქვე მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩვენი წარმომადგენლები სისტემატურად დააკვირდებიან დაზღვევის პოლისში გათვალისწინებული სერვისის შესრულების ხარისხს და ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, ოპერატიულად მივიღებთ სათანადო ზომებს.

**– დიდ ქალაქებში, სადაც „ავერსის“ კლინიკებია, იოლია დაზღვეული პედაგოგების მომსახურება. როგორ იქნება რაიონებსა და სოფლებში?**

– სწორედ ამაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ხშირად პედაგოგი დაზღვეულია, აქვს გარკვეული პაკეტი, მაგრამ რეალურად მომსახურებას ვერ იღებს, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში. ძალიან კარგი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფომ, როდესაც სოფლებში მომუშავე ექიმები დარეგისტრირდნენ, როგორც ფიზიკური პირები, ყველა პირობა შეექმნათ იმისათვის, რომ კვალიფიციური მომსახურება გაუწიონ იქ მცხოვრებ ადამიანებს. ვაპირებთ სოფლის ექიმებთან ხელშეკრულებების გაფორმებას, რომ პედაგოგებს ადგილებზე მოემსახურონ ჩვენი დაზღვევის პაკეტით, უფასოდ – პედაგოგმა პირველადი გადაუდებელი დახმარება სოფელში უნდა მიიღოს, სწორედ სოფლის ექიმთან. თუმცა ამ სერვისით არა მარტო პედაგოგი ისარგებლებს, არამედ მისი ოჯახის წევრიც (მეუღლე, შვილები).

შეჯამების სახით ვიტყვით, რომ რეალურად ჩვენი სადაზღვევო პაკეტი დაფუძნებულია იმაზე, რასაც სახელმწიფო გვავალდებულებს – ამბულატორიული თუ ჰოსპიტალური მომსახურება. მაგრამ ჩვენი გამოკითხვით პედაგოგისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის დონეზე, ოჯახის ექიმის დონეზე მაღალხარისხიანი მომსახურების მიღება. ჩვენც აქცენტს სწორედ ამაზე გავაკეთებთ. თუმცა ყველა რგოლი – მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ჰოსპიტალური, სტაციონარული თუ ნებისმიერ დონეზე მომსახურება – მთლიანად იქნება შენარჩუნებული. გამართული პირველადი ჯანდაცვა, გამართული ოჯახის ექიმის სამსახური გარკვეული გართულებების თავიდან აცილების წინაპირობაც იქნება. შემდგომში ჰოსპიტალური მკურნალობა არც ჩვენთვის არის სასიამოვნო და არც პაციენტისთვის. შრომისუუნარო პედაგოგი არც სკოლისთვისაა სასურველი. პირველადი ჯანდაცვის დონეზე პედაგოგისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომი იქნება და ოჯახის ექიმი თვითონაც იქნება დაინტერესებული ამით. ჩვენ ისეთ მეთოდს შევთავაზებთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს სტაციონარში გადაყვანის შემთხვევები.

**– ითვალისწინებს თუ არა პაკეტი ძვირადღირებულ გამოკვლევებს?**

– ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში, გეგმიურ ქირურგიულ ოპერაციებზე ან ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში – ქიმიოთერაპიაზე ჩვენი პაკეტი 12000 ლარის ლიმიტს ითვალისწინებს. გარდა ამისა, სტაციონარული მკურნალობის შემთხვევაში, ისეთი მაღალტექნოლოგიური კვლევები, როგორიც არის დოპლეროგრაფია, კომპიუტერული, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, ასევე, სხვა ლაბორატორიული გამოკვლევები ჩვენთან დაზღვეულ პედაგოგებს უფასოდ ექნებათ როგორც თბილისში, ასევე რაიონებში, სადაც „ავერსის“ კლინიკებია.

სადაზღვევო კომპანია „ალფა“ მოუწოდებს პედაგოგებს დაუკავშირდნენ ჩვენს რეგიონულ წარმომადგენლებს მითითებულ ტელეფონებზე. ჩვენთან დაზღვევის შემთხვევაში, პედაგოგები საუკეთესო სადაზღვევო მომსახურებას მიიღებენ.

# უმაღლესი სასწავლებლებისა და ფაკულტეტების სრული ჩამონათვალი

## ჩასაბარებელი გამოცდების, კოეფიციენტების, მისაღები კონტინგენტისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მითითებით გამოქვეყნდება ცნობარში

### ცხრილში გამუქებულია ფაკულტეტების მიერ მითითებული გამოცდების შესაბამისი გრაფები

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 001

**მისამართი:** თბილისი 0128, ი.ჭავჭავაძის გამზირი №1. **საკონტაქტო ტელეფონები:** 22-51-07; ფაქსი: 22-51-07;
**ელ.ფოსტა:** khubua@tsu.ge, **ვებ-გვერდი:** www.tsu.edu.ge **განსაკუთრებული მოთხოვნები:** -

| | ფაკულტეტების დასახელება სპეციალიზაციების მითითებით | სწავლების ენა | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | შემოქმედებითი ტურები I | II | III |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 00101 | **ეკონომიკისა და ბიზნესის ეკონომიკა;** ბიზნესი და მართვა | ქართ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | | | | | |
| 00102 | **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათამათემატიკა;** კომპიუტერული მეცნიერებები (ქართ. რანგ.); ფიზიკა; ქიმია; ბიოლოგია; ფიზიკური გეოგრაფია; გეოლოგია; ელექტრონიკა; გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, ეკოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა | ქართ. ქართ.-ფრანგ. | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | | | |
| 00103 | **იურიდიული** სამართალმცოდნეობა | ქართ. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | | | |
| 00104 | **მედიცინის** სამკურნალო საქმე; სტომატოლოგია; ოკუპაციური თერაპია. | ქართ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | ■ | ■ | | | |
| 00105 | **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა** ჟურნალისტიკა (ქართ.-რუს.); გეოგრაფია; სოციოლოგია; საერთაშორისო ურთიერთობები; ფსიქოლოგია; პოლიტ. მეცნიერებანი; სოციალური მუშაობა; | ქართ. ქართ.-რუს. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | | | |
| 00106 | **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** **ძირითადი და დამატებითი სპეციალობები:** ფილოსოფია; ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; ხელოვნებათმცოდნეობა; კულტურის მეცნიერებები; კავკასიოლოგია; ამერიკისმცოდნეობა; აღმოსავლეთმცოდნეობა: არაბისტიკა; ირანისტიკა; თურქოლოგია; ებრაისტიკა-არამეისტიკა; არმენოლოგია; ასირიოლოგია; ფილოლოგია: ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; ესპანური ფილოლოგია; იტალიური ფილოლოგია; კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტიური ფილოლოგია; ახალი ბერძნული ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; სკანდინავიური ფილოლოგია; სახვითი ხელოვნება; კინო-ტელე ხელოვნება; დაწყებითი განათლება. **მხოლოდ დამატებითი სპეციალობები:** განათლების მეცნიერებები; იაპონისტიკა; სინოლოგია. | ქართ. | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | | | | | | |

## თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 002

**მისამართი:** 0108, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8-10. **საკონტაქტო ტელეფონები:** 987027, **ფაქსი:** 987027;
**ელ.ფოსტა:** info@conservatoire.edu.ge **ვებ-გვერდი:** www.conservatoire.edu.ge
**განსაკუთრებული მოთხოვნები:** *შემოქმედებითი ტურები ბაკალავრიატსა და პროფესიულ პროგრამებზე ჩატარდება განსხვავებული მოთხოვნებით. შემოქმედებითი ტურების მისაღები მოთხოვნები იხილეთ კონსერვატორიის ვებგვერდზე.*

| | ფაკულტეტების დასახელება სპეციალიზაციების მითითებით | სწავლების ენა | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | შემოქმედებითი ტურები I | II | III |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 00201 | **კლავიშიანი საკრავები** | ქართ. | ■ | ■ | ■ | | | | | | | | ■ | | |
| 00202 | **აკადემიური გუნდის დირიჟორობა** | ქართ. | ■ | ■ | ■ | | | | | | | | ■ | | |
| 00203 | **აკადემიური სიმღერა** | ქართ. | ■ | ■ | ■ | | | | | | | | ■ | | |
| 00204 | **საორკესტრო-სიმებიანი საკრავები** | ქართ. | ■ | ■ | ■ | | | | | | | | ■ | | |
| 00205 | **საორკესტრო-ჩასაბერი საკრავები** | ქართ. | ■ | ■ | ■ | | | | | | | | ■ | | |
| 00206 | **კომპოზიცია** | ქართ. | ■ | ■ | ■ | | | | | | | | ■ | | |
| 00207 | **მუსიკის თეორია** | ქართ. | ■ | ■ | ■ | | | | | | | | ■ | | |

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 003

**საკონტაქტო ტელეფონები:** 36-54-29 **ვებ-გვერდი:** www.gtu.ge **ელ.ფოსტა:** kanc@gtu.ge
**მისამართი:** 0175, თბილისი, კოსტავას ქ. №77 **განსაკუთრებული მოთხოვნები:** -

| | ფაკულტეტების დასახელება სპეციალიზაციების მითითებით | სწავლების ენა | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | შემოქმედებითი ტურები I | II | III |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 00301 | **სამშენებლო** ჰიდროტექნიკა; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. | ქართ. რუს. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | | | | | |
| 00302 | **ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის** ელექტროენერგეტიკა; თბოენერგეტიკა; ელექტრომექანიკა დაელექტროტექნოლოგიები; ელექტრონიკა; ტელეკომუნიკაცია; | ქართ. რუს. ინგლ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | ■ | | | | | |
| 00303 | **სამთო-გეოლოგიური** სამთო და სამარკშეიდერო საქმე; საინჟინრო გეოდეზია; გეოლოგია; ნავთობის და გაზის ტექნოლოგიები. | ქართ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | ■ | | | | | |
| 00304 | **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის** ქიმიური ტექნოლოგია; ბიოლოგიური ტექნოლოგია; სასურსათო ტექნოლოგია; ეკოლოგია; ფარმაცია; მეტალურგია; მასალათმცოდნეობა და ლითონების დამუშავება. | ქართ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | ■ | | | | |
| 00305 | **სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის** ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა; გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; მანქანათმშენებლობა; მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია; გზების, აეროდრომების, ხიდების და გვირაბების მშენებლობა; გემების და მათი ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია; ტრანსპორტის მენეჯმენტი; პოლიგრაფია; მერქნული მასალების დამუშავება; რკინიგზის მშენებლობა; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა. | ქართ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | | | | | |
| 00306 | **არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის** არქიტექტურა და ქალაქთაგეგმარება | ქართ. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | | | | ■ | ■ | |
| | | | | | | | | | | | | | ხატვა | არქიტ. გრაფ. | |

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 003

| | ფაკულტეტების დასახელება სპეციალიზაციების მითითებით | სწავლების ენა | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | შემოქმედებითი ტურები I | II | III |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 00307 | **ჰუმანიტარულ-სოციალური** სამართალმცოდნეობა; საერთაშორისო ურთიერთობები; საზოგადებრივი ურთიერთობები; ეკონომიკა; ტურიზმი; აუდიტი; მენეჯმენტი და ადმინისტრირება; საბუღალტრო და საგადასახადო საქმე; ჟურნალისტიკა (ქართული, რუსული); საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე (ქართული, გერმანული). | ქართ. რუს. გერმ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | | | | | | |
| 00308 | **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების** ბიოსამედიცინო ინჟინერია; მინაცემთა დამუშავების და მართვის ავტომატიზებული სისტემები; რობოტოტექნიკა; ხარისხის მართვა და საზომი ტექნიკა; კომპიუტერული სისტემები და ქსელები; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ფიზიკა; გამოყენებითი მათემატიკა. | ქართ. რუს. ინგლ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | ■ | | | | | |

## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 004

**მისამართი:** 0118 ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №19
**საკონტაქტო ტელეფონები:** 99-94-11, 98-30-79; **ვებგვერდი:** www.tafu.edu.ge **ელ.ფოსტა:** tafu@lingua.edu.ge

**განსაკუთრებული მოთხოვნები:**
**დრამის ფაკულტეტი** - შემოქმედებით ტურში იგულისხმება:
***- დრამისა და კინოს მსახიობი*** - სამსახიობო /მხატვრული წარმოსახვა, მეყველება, სმენა, რითმი, პლასტიკა/მონაცემების შემოწმება.
